

ხსნის არმია

ხსნის არმია - საერთაშორისო ქრისტიანული საქველმოქმედო ორგანიზაცია, არსებობს მე-19 საუკუნის შუა წლებიდან. მისი შტაბ-ბინაა ლონდონში. დღეს ხსნის არმია მსოფლიო 111 ქვეყანაში მოქმედებს. მასში მილიონნახევარზე მეტი ადამიანი არის გაერთიანებული. 1865 წელს ბრიტანელმა მეთოდისტმა პასტორმა უილიამ ბუთმა დაარსა აღორძინების ევანგელისტური ასოციაცია, რომელმაც შემდგომში ორჯერ სახელწოდება შეიცვალა - ჯერ „აღმოსავლეთ ლონდონის ქრისტიანული მისია“ ერქვა, შემდგომ კი- „ქრისტიანული მისია“ დაერქვა. თავის დროზე უილიამ ბუთმა ოფიციალური აღიარება მოიპოვა ინგლისის მეფისა და ამერიკის პრეზიდენტისგან გენერლის წოდება მიიღო, მხოლოდ მის ცოლს კატერინას - „ხსნის არმიის დედა“ შეარქვეს.

მათი აზრით, ადამიანებმა არა მხოლოდ სულის ხსნისა და ამქვეყნიურ არსებობაზე უნდა ვიზრუნოთ, არამედ საზოგადოების დაბალ ფენების ყოველდღიური გაუსაძლისი ცხოვრების შემსუბუქებაში ვიზრუნოთ. ისინი მარტო ხელდასმის და ქორწინების საიდუმლოებებს აღიარებენ. ნათლობასა და ზიარებას ისინი არ ცნობენ - სთვლიან მეორეხარისხოვნად.

საქართველოში ხსნის არმია 1992-93წწ. ჩამოყალიბდა. ისინი აქტიურად მუშაობდნენ აფხაზეთის ომის დროს - დევნილებს საკვებითა და ტანსაცმლით ეხმარებოდნენ. 1993 წ. ოფიციალურად იხსნება ხსნის არმიის საქართველოშიწარმომადგენლობა(სამლოცველო სახლი ანუ „კორპუსი“).

ამჟამად 8 კორპუსი ფუნქციონირებს: 4- თბილისში, 2- რუსთავში, 1- ბათუმში, 1- ლაგოდეხში. მათი წევრების რაოდენობა 600-მდეა. დარეგისტრირებულნი არიან როგორც ჰუმანიტარული მისია.

გამოსცემენ ჟურნალს „Вестник спасения“ რუსულ ენაზე. წევრების რაოდენობა უცნობია - ისინი არ ნათლავენ, წევრებს ღებულობენ როგორც ჯარისკაცებს.